



სსკგ-ის თავმჯდომარემ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს ქრისტეს შობა მიულოცა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 07.01.2025. მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ ქრისტეს შობის მისალოცი გაუგ ზავნა: დიდი ანტიოქიის და სრულიად აღმოსავლეთის უნეტარეს პატრიარქ იოანე X-ს; იერუსალიმის წმინდა ქალაქისა და სრულიად პალესტინის უნეტარეს პატრიარქ თეოფილე III-ს; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს; სერბეთის უწმინდეს პატრიარქ პორფირეს; რუმინეთის უნეტარეს პატრიარქ დანიელს; ბულგარეთის უწმინდეს პატრიარქ დანიელს; ტირანისა და სრულიად ალბანეთის უნეტარეს მთავარეპისკოპოს ანასტასის; ვარშავისა და სრულიად პოლონეთის უნეტარეს მიტროპოლიტ საბას; ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის მიტროპოლიტ როსტისლავს; სრულიად ამერიკისა და კანადის უნეტარეს მიტროპოლიტ ტიხონს; ოხრიდისა და მაკედონიის უნეტარეს მთავარეპისკოპოს სტეფანეს.

მისალოც გ ზავნილში, კერძოდ, ნათქვამია:

გულითადად გილოცავთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ხორციელი შობის დღესასწაულს.

მაცხოვრის განკაცების ამ ნათელ დღესასწაულზე, ჩვენ ესაია წინასწარმეტყველთან ერთად სიხარულით ვლაღაღებთ: ჩვენ თანა უფალი ღმერთი არს (ეს. 8:10)! ამ საოცარი სიტყვების მოსმენისას, ჩვენი გულები ნუგეშს იძენენ და შემოქმედისადმი მადლიერებით ივსებიან.

ქრისტეს შობა ყვემარიტად გახდა უდიდესი მოვლენა სამყაროს ისტორიაში: უფალი იშვა დედამიწაზე, როგორც ადამიანი, რათა ვცხონდეთ მის მიერ (1 ინ. 4:9). წმინდა ბასილი დიდი, როცა ამ უდიდეს საიდუმლოზე მსჯელობს, მოგვინოებს: „ვიზიემოთ სამყაროს და კაცობრიობის დაბადება“ (სიტყვა ქრისტეს შობაზე).

დაე, დედამიწაზე შთამოსულმა სამყაროს მხსნელმა გაამრავლოს ენით გამოუთქმელი თავისი სიუხვეები, შეგვნიოთ თქვენ თქვენს მაღალ სანინამძღვრო მსახურებაში, გიბოძოთ თქვენ და თქვენს ღვთისმოყვარე მრევლს მშვიდობიანი ცხოვრება და კეთილდღეობა.

შობილ ქრისტეში მოკრძალებული სიყვარულით,

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო

კავშირების განყოფილების თავმჯდომარე,

ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი